ზლატოუსტი
გრენობლის ტრამპლინია

●

დამთავრდა ზ. ზიგმუნდის
მემორიალი

●

საბჭოთა
ფეხბურთელები
საზღვარგარეთ

●

ყინულის სარბიელის
პრიზი

[illegible]

12 დეკემბერი

◆ ზლატოუსტი. ამ დღეს აქ დიდი სპორტული ზეიმი იყო. სამხრეთ ურალის უძლიერეს მოთხილამურეებს საასპარეზოდ ესტუმრნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, აგრეთვე სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების საუკეთესო სპორტსმენები. გაიმართა შეჯიბრება პრიზზე „ოლიმპიური ტრასა“. ამ ასპარეზობას ტყუილად როდი დაარქვეს ასეთი სახელი: ქალაქის მიდამოებში მდებარე რთული რელიეფის ტრასებზე იხვეწებოდა საბჭოთა ოლიმპიელი მოთხილამურეების ოსტატობა და ახლაც ზლატოუსტის შემოგარენი, შეიძლება ითქვას, გრენობლის ოლიმპიური თამაშების პირველ ტრამპლინად მოგვევლინა. შეჯიბრებებში გამოვიდა 500-მდე სპორტსმენი. 5 კილომეტრზე ქალთა რბენაში ყველას აჯობა მოსკოველმა ა. კოლჩინამ — 24.20,0. ვაჟთა რბენაში 15 კილომეტრზე გაიმარჯვა უკრაინის წარმომადგენელმა გ. კოზინმა — 58.49,0. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს ჩელიაბინსკის მოთხილამურეებმა. II ადგილზე არიან მასპინძლები — ზლატოუსტელი სპორტსმენები.

◆ **მოსკოვი.** დამთავრდა ცნობილი საბჭოთა ჩოგბურთელისა და ჰოკეისტის ზ. ზიგმუნდის სახელობის მემორიალი, რომელშიც ახალგაზრდა ჩოგბურთელებთან ერთად მონაწილეობდნენ ჩვენი ვეტერანები — ზიგმუნდის თანამებრძოლნი. მთავარი პრიზი ვაჟთა წყვილების ასპარეზობაში გამარჯვებისთვის წილად ხვდათ ძმებს ეგოროვებს (მოსკოვი), რომლებმაც ფინალში დაამარცხეს ი. იუშკა და ი. ხოხლოვი—6:4, 6:4, 3:6, 6:4. ქალთა წყვილებში საუკეთესონი იყვნენ ტ. ჩალკო და მ. ჩუვირინა. მათ სძლიეს მ. კულსა და ლ. პრეობრაჟენსკაიას—1:6, 6:4, 6:4. შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ვ. ფილიპოვამ და ს. [illegible]. ზიგმუნდის მუდმივ თანამებრძოლს, საბჭოთა ჩოგბურთის ვეტერანს ნ. ოზეროვს გადაეცა სპეციალური პრიზი „საუკეთესო მეწყვილეს“.

◆ სვერდლოვსკი. ბურთიან ჰოკეიში საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს ადგილობრივმა არმიელებმა. მათ დიდი ანგარიშით დაამარცხეს მოსკოვის „დინამო“ — 5:0. მეტოქეთა კარში 3 ბურთი გაიტანა ნ. დურაკოვმა, რომელიც გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. მის აქტივშია 9 ბურთი. სვერდლოვსკის არმიელთა გუნდი 10 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ტურნირს.

◆ **კოლომბო.** მინსკის „დინამომ“ დაამარცხა ცეილონის ფეხბურთის ფედერაციის ნაკრები — 5:1.

◆ ლონდონი. „ბი-ბი-სის“ მიერ მოწყობილი სატელევიზიო მატჩი მაგიდის ჩოგბურთში ინგლისისა და სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენ ქალთა შორის აღინიშნა მასპინძელთა გამარჯვებით — 4:1. ს. გრინბერგმა წააგო როუსთან და შენონთან, ხოლო ზ. რუდნოვამ მოუგო შენონს და წააგო როუსთან. ამ მოთამაშეთა წყვილების შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

◆ **ვენა.** აქ დამთავრდა ახალგაზრდა ტალანტების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ციგურებით ფიგურულ სრიალში. ყინულის სარბიელზე გამოვიდა 13 ქვეყნის 40 სპორტსმენი. სსრ კავშირიდან აქ იყვნენ ცნობილი მოსკოველი ოსტატის ს. ჩეტვერუხინის უმცროსი ძმა ალექსი, ს. ვოლგუშევი, ე. შჩეგლოვა და გ. კრუბოვსკაია. განსაკუთრებული წარმატება წილად ხვდა შჩეგლოვას, რომელმაც დაიმსახურა პრიზი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 245 (2965) ● სამშაბათი, 14 დეკემბერი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

გუშინწინ თბილისში, „ბურევესტნიკის“ დარბაზში დამთავრდა სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა მხატვრულ ტანვარჯიშში.

ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა ი. სვანიძემ და გ. შალიკიანმა (მწვრთნელი ა. ტიუვაევა), რომლებმაც სომხეთის წარმომადგენლებთან — ხ. ტატიანთან და თ. მოჩალოვასთან (მწვრთნელი მ. ანდრონიკაშვილი) ერთად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): თ. მოჩალოვა, გ. შალიკიანი, ხ. ტატიანი და ი. სვანიძე საუბრობენ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ.

ფოტო ი. იუნაევისა.

გუშინ...

ანზორ კიკნაძე ტრადიციას არ ღალატობს

პერმში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი სამბოში.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ: ა. მწარიაშვილი (ორჯონიკიძე), ს. კეროდი (ლენინგრადი), ო. სტეპანოვი (მოსკოვი), დ. რუდმანი (კუიბიშევი), ე. გლორიოზოვი (მოსკოვი), ა. ბონდარენკო (კიევი), ბ. მიშჩენკო (მოსკოვი), ა. კიკნაძე (თბილისი).

20 წლის გორელმა ათლეტმა გ. ბეინაშვილმა (უმძიმესი წონა) მოიპოვა ვერცხლის მედალი.

„დაუნდობელი“ მასპინძლები

ჰავანა, 13 დეკემბერი. კუბაში სახალხო რევოლუციის გამარჯვების მე-7 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული ფესტივალი საუცხოო შედეგებით შეამკეს მასპინძლებმა: ე. ფიგეროლამ 100 მ გაირბინა 10,1 წამში, ხოლო 200 მ — 20,5 წამში. ასევე ყველას გაუსწრო ამ მანძილებზე მიგელინა კობიანმა: 100 მ — 11,4 და 200 მ — 23,8.

ბელორუსიელმა უროს მტყორცნელმა ა. ბოლტოვსკიმ ფარ-ხმალი დაჰყარა საბჭოთა მძლეოსნების ამაწინანდელ მოწაფესთან — კუბელ ე. სამუელსთან ბრძოლაში. სამუელსმა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 66,34 მ. ბოლტოვსკი გამარჯვებულს 2,84 მეტრით ჩამორჩა.

ბი, დანარჩენ სახეობებში გამარჯვებულნი: სიგრძეზე ხტომა: ქალები — მ. რენდი (ინგლისი) — 572 სმ; ვაჟები — ლ. დევისი (ინგლისი)—778 სმ; 110 მ თარჯრბენი — ჯ. კორნაჩია (იტალია) — 14,2 (მინსკელი ვ. ბალიხინი II იყო — 14,4); 20 კმ რბენა — დ. ტოტი (უნგრეთი) — 1:06.15,0 (III იყო ბელორუსიელი ა. პოტიომკინი — 1:07.02,0, ხოლო IV — სსრ კავშირის ჩემპიონი, ულიანოვსკელი მ. გორელოვი — 1:07.18,0); ქალთა ბირთვი — ლ. შჩერბაკოვა (სვერდლოვსკი)—14,24 მ; 80 მ თარჯრბენი — მ. რენდი — 10,9.

რომ გაზეთი [illegible] [illegible] იყო...

სსრ კავშირის თასზე

ორჯონიკიძე, 13 დეკემბერი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. ასპარეზობის ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ დაშნით მოფარიკავენი. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მინსკელმა ი. სმოლიაკოვმა დაამარცხა ბ. ხაბაროვი (რიგა) და მოიპოვა თასი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა.

[illegible]

სამნი — ვოლგოგრადის ჩემპიონატში

ვოლგოგრადში ამას წინათ გაიმართა ქალაქის ღია ჩემპიონატი კრივში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 80-მდე საუკეთესო ოსტატი და პირველთანრიგოსანი, მათ შორის სამი თბილისელი — ო. კისიევი (მსუბუქი წონა), მ. მამამთავრიშვილი (ქვემძიმე წონა) და დ. ჩოგოვაძე (მძიმე წონა).

ასპარეზობაში კარგად გამოვიდა ჩოგოვაძე. ფინალში იგი შეხვდა სარატოველ მ. იუსუპს, დაამარცხა მეტოქე და მოიპოვა ჩემპიონობა. ფინალში გავიდა კისიევიც, მაგრამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დამარცხდა სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორ ვ. ზელოუსოვთან. მამამთავრიშვილმა ფინალამდე ყველა შეხვედრა მოიგო, მაგრამ ხელის დაზიანების გამო იგი ექიმებმა ფინალურ ბრძოლაზე არ დაუშვეს. ქართველ მოკრივეს მიენიჭა II ადგილი.

ინფორმაციის საათი...

◆ ვარშავა, 13 დეკემბერი. **აქ მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა სახელგანთქმულმა პოლონელმა ძალოსანმა მ. ბაშანოვსკიმ (მსუბუქი წონა) — მან აიტაცა 134 კგ.**

◆ **ბომბეი, 13 დეკემბერი.** რსფსრ-ს ფეხბურთელებმა მოუგეს მატჩი ინდოეთის ნაკრებს — 1:0.

◆ ბანგი, 13 დეკემბერი. აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში პირველი მატჩი გამართეს ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებმა. ისინი შეხვდნენ ქვეყნის II ნაკრებს და გაიმარჯვეს — 4:1. გუშინ „ზენიტმა“ ასეთივე ანგარიშით მოუგო I ნაკრებს. საბჭოთა ფეხბურთელთაგან ბურთები გაიტანეს ბელიკოვმა (2), სპირიდონოვმა და სოლოვიოვმა.

◆ ფურუდალი (შვეცია), **13 დეკემბერი.** აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ ახალგაზრდა საბჭოთა მოთხილამურეები. 5 კილომეტრზე გოგონათა რბენაში ყველას აჯობა ლ. სლავოვამ — 20.20,0. ვ. ვედენინმა 15-კილომეტრიან რბოლაში მხოლოდ შვედი ანდერსონი გაუშვა წინ. II პრიზიორის დროა 53.29,0.

◆ ლაიპციგი, 13 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ფორვერტსისა“ და მოსკოვის ცსკა-ს კალათბურთელი ვაჟები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 87:66 (38:34). განმეორებითი შეხვედრა შედგება 18 დეკემბერს მოსკოვში.

◆ **ლონდონი, 13 დეკემბერი.** სატელევიზიო კომპანია „ბი-ბი-სის“ მიერ მოწყობილი მატჩის შემდეგ საბჭოთა და ინგლისელი მაგიდის ჩოგბურთელები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს წყვილთა ასპარეზობაში. ამჯერად გაიმარჯვეს სტუმრებმა: ზ. რუდნოვამ და ს. გრინბერგმა დაამარცხეს დ. შოუ და მ. შენონი — 23:21, 21:16.

◆ **ოტავა, 13 დეკემბერი. მეორე მატჩიც კანადის ნაკრებთან საბჭოთა ჰოკეისტებმა მოიგეს. ამჯერად ანგარიშია 8:6.**

◆ **ბელცი, 13 დეკემბერი.** ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე დღეს გაიმართა XVII ტური. რანიკუმ მოუგო ე. რუბცოვას, ზატულოვსკაიამ — ივანოვას, სკეგინამ — კოლოტის, ზვორიკინამ — მიხაილოვას. ბელავენეც — გოლოვეის შეხვედრა ყაიმით დასრულდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

◆ ტაშკენტი, 13 დეკემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის XI ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში. ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა რიგელმა ა. ანდრეიკომ — 16 ქულა. II—III ადგილები გაიყვეს მოსკოველმა ბ. შკიტკინმა და ლენინგრადელმა ს. მანშინმა — 14-14 ქულა.

◆ **რომი, 13 დეკემბერი.** ლუგანსკის „ზარიას“ ფეხბურთელებმა მესამე მატჩი იტალიაში გამართეს რეჯო დი კალაბრიას ნაკრებთან. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

გამარჯვენი ყველაფერს ასწრებენ

... პატარა ავტომობილი ელვის სისწრაფით დაქრის მოედანზე. წრე წრეს მიჰყვება, წამი — წამს და სპორტულ აზარტში შესული მსაჯიც თავისთვის ჩურჩულებს.

— 100 კილომეტრი!

— 110!

— 125!

— კარგი შედეგია! — ისმის მაყურებელთა შორის, — შესანიშნავია!

მანქანამ კიდევ რამდენიმე წრე შემოხაზა და გაჩერდა. მერე მსაჯმა-ინფორმატორმა გამოაცხადა: „2,5 კუბური სანტიმეტრის სიმძლავრის ძრავიან მოდელებში გაიმარჯვა ზურაბ ზურაბიშვილის მოდელმა".

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, სადაც ზურაბი მუშაობს, ბევრია გატაცებული ამ მეტად საინტერესო სახეობით. ჩვენს რესპუბლიკაში პირველად სწორედ ამ საწარმოში ჩამოყალიბდა ავტოსამოდელო სექცია, რომელმაც მალე მიიზიდა ბევრი მოყვარული. ზ. ზურაბიშვილმა, კ. ტყეშელაძემ, ა. ნიკოლაიშვილმა და სხვებმა ააგეს საკუთარი კონსტრუქციის „ავტომობილები", მერე სხვადასხვა შეჯიბრებაშიც მიიღეს მონაწილეობა... ყოველ გამოსვლას თან სდევდა წარმატებები. ასე იყო მაისში, მინსკს გამართულ შეჯიბრებაში და აგვისტოში, მოსკოვს — საკავშირო პირველობაზე. სპორტის ტექნიკურ სახეობებში წლევანდელ საკავშირო სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების 5 წევრიდან 3 კიროველი იყო.

ავტომოდელისტთა საქმიანობა ქარხნის სპორტული ცხოვრების მხოლოდ ნაწილია. ჩარხმშენებელთა სპორტკლუბი „გამარჯვება" კარგადაა ცნობილი რესპუბლიკაში. ბევრი გამარჯვება მოუპოვებიათ აქაურ ძალოსნებს, ველოსიპედისტებს, მოჭიდავეებს, კალათბურთელებს, მოცურავეებს, მძლეოსნებს!..

— ჩვენი კოლექტივი, — ამბობს „გამარჯვების" თავმჯდომარის მოადგილე კ. პროზოროვი, — მრავალ ოსტატსა და თანრიგოსანს აერთიანებს. ძალოსნებმა, ველოსიპედისტებმა და მოცურავეებმა პროფკავშირთა VIII საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს და არც იქ შეირცხვინეს თავი: ძალოსნებმა VI ადგილი დაიკავეს, ხოლო მოცურავეებმა — VII. საკავშირო მასშტაბით ეს შედეგები ურიგო როდია. ამიტომაც იყო, რომ სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ სპეციალური პრიზით — ბროლის თასით დაგვაჯილდოვა.

ახლა ენერგიულად ვემზადებით სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის. საამქროებს შორის უკვე გაიმართა შეჯიბრებები ხელბურთში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში... ვიმედოვნებთ, რომ საქარხნო პირველობანი გამოავლენს ახალგაზრდა, ნიჭიერ სპორტსმენებს, რომლებიც წარმატებით დაიცავენ ქარხნის ღირსებას რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებში.

... აი, ჩარხმშენებელი სპორტსმენები, რომლებიც შესანიშნავად უთავსებენ ერთმანეთს შრომასა და სპორტს: სპორტის ოსტატები ჯ. კალანდაძე, რ. ყამარაული, კ. პოგორელოვი, ე. იანჩევსკი, ო. მაკაროვი, გ. სანიძე, ვ. ბოგდანოვი, ნ. ინჯგია, ვ. კარბუკოვი, ე. ბირიუკოვი, პირველთანრიგოსნები ლ. კონონენკო, ვ. დოვგალიოვა და სხვ. ბევრი მათგანი (რ. ყამარაული, ლ. კონონენკო, ჯ. კალანდაძე, ვ. დოვგალიოვა და სხვ.) უმაღლესი სასწავლებლების საღამოს დასწრებული ფაკულტეტების სტუდენტებიც არიან.

ქარხნის კეთილმოწყობილი ბაზები — ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის მოედნები, სტადიონი და შესანიშნავი ტირი — ნაყოფიერი წვრთნის ყველა პირობას ქმნის. ოღონდ ეგ არის, რომ საცურაო აუზში გაჭიანურდა წყლის გასათბობი მოწყობილობის დამონტაჟება.

ქარხნის სპორტკლუბის სპეციალურ თათბირზე განვიხილეთ სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს II პლენუმის დადგენილება. ამასთან დაკავშირებით ვიკისრეთ გაისად მოვამზადოთ 5 სპორტის ოსტატი, 40 პირველი, 50 მეორე და 300 მესამეთანრიგოსანი. შესაბამისად გაიზრდება მშთ ნიშნოსნების, საზოგადოებრივი კადრებისა და ზოგადგამაჯანსაღებელ ჯგუფებში გაერთიანებულთა, აგრეთვე „განთიადის" წევრთა რიცხვი. ქარხანასთან არსებული ბავშვთა სპორტული სკოლა გაისად კიდევ 200 გოგონასა და ბიჭს მიიღებს.

დავსახეთ 1967 წლის პერსპექტიული გეგმაც...

ჯ. მჭედლიშვილი.

ჩვენების „აქილევსის ქუსლი"

საქართველოსა და უკრაინის ტყვიით მსროლელთა მატჩში დამთავრდა კიდევ 6 ვარჯიში. მსხვილკალიბრიანი რევოლვერით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე (30+30) 25 მეტრიდან სროლაში როგორც გუნდური, ისე პირადი პირველობა სტუმრებმა მოიგეს. პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა ა. უდაჩინმა — 586 ქულა (288+298). ვ. პაშკოვი გამარჯვებულს ჩამორჩა 3 ქულით (289+294), ხოლო III პრიზიორმა ვ. ვეტუშენკომ მოაგროვა 578 ქულა (285+293). მასპინძელთაგან საუკეთესომ — დ. პილიევმა 574 ქულის მოპოვება შეძლო, რამაც მას მხოლოდ IV ადგილი მოუტანა. მართალია, მრგვალ სამიზნეებზე სროლა თბილისელმა ვ. სალუქვაძემ მოიგო (293 ქულა), მაგრამ სილუეტებზე სროლაში სუსტად გამოვიდა და საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა.

ამ ვარჯიშს ქალები ასრულებდნენ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით. ყველაზე კარგ შედეგს მიაღწია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ტ. კობოსნიძემ. იგი საუკეთესო იყო სილუეტებზე სროლაშიც (292) და კომპლექსშიც (575). ნიჭიერმა ქალიშვილმა 1 ქულით აჯობა რ. კაპნიკს და 3 ქულით — გ. იაკოვლევას (ორივენი — უკრაინა).

საინტერესო იყო მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) 50 მეტრიდან სროლა. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის მასპინძლები სტუმრებზე ბევრად უკეთ ისროდნენ წოლილა და ჩოქილა მდგომარეობაში, მაგრამ მონაპოვარს წყალში ჰყრიდნენ დგომილა სროლისას. სწორედ ამიტომაც წააგეს ჩვენებმა პირადი და გუნდური შეჯიბრება. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ მეტოქეთა საუკეთესო მაჩვენებლები: ქალთა შორის წოლილა სროლაში ნ. ერმიშიანმა (საქართველო) 200-დან მხოლოდ 3 ქულა დაჰკარგა, ჩოქილა სროლისას კი — 7 ქულა, უკრაინელთა გუნდის ლიდერმა ა. მალიჩენკომ კი შესაბამისად 196 და 188 ქულა მოაგროვა. როგორც ვხედავთ, ორი მდგომარეობიდან სროლის ჯამში ერმიშიანი მეტოქეს 6 ქულით ასწრებდა. მაგრამ თბილისელმა დგომილა სროლაში მხოლოდ 168 ქულის აღება შეძლო მაშინ, როცა მალიჩენკო 181-ს შესწვდა და სტანდარტში 565 ქულის მოგროვებით პირველობაც გაინაღდა. ერმიშიანის შედეგია 558 ქულა. III იყო უკრაინელი ვ. ვაკალი — 552 ქულა.

ანალოგიური მოვლენა განმეორდა ვაჟებშიც. უკრაინელმა ა. კრივორუჩკომ სტანდარტზე გამარჯვება დგომილა სროლაში ყველაზე კარგი (182 ქულა) შედეგის წყალობით დაისაკუთრა. II პრიზიორმა თ. მეგრელიშვილმა ამ მდგომარეობიდან სროლაში 4 ქულა წააგო, ხოლო წოლილა და ჩოქილა სროლაში თითო ქულით გაასწრო მეტოქეს — 197 და 194 ქულა. საბოლოოდ კრივორუჩკოს აღმოაჩნდა 571 ქულა, მეგრელიშვილს — 569.

თუ ჩვენებმა ეს ხარვეზი დროულად არ გამოასწორეს, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში ძალიან ბევრს ინანებენ.

გუშინწინ აჭალის სასროლეთზე გაიმართა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა 50 მეტრზე (ვაჟები — 60 გასროლა, ქალები — 30).

ბოლო გასროლამდე ერთმანეთს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ე. ტიმოფეევა (საქართველო) და ნ. ინშინა (უკრაინა). ჯამში ორივეს ერთნაირი ნადავლი (264-264) აღმოაჩნდა, მაგრამ ტიმოფეევამ უფრო მეტი „ათიანი" დააზიანა და პირველობაც მას დარჩა. ტ. კობოსნიძე 261 ქულით III ადგილზე გავიდა.

ქალებს არც საქართველოს ვაჟთა გუნდი ჩამორჩა. სამივე საპრიზო ადგილი ჩვენებმა მოიპოვეს: ვ. სალუქვაძემ — 560 ქულა, ო. კვირიკაშვილმა — 551 და დ. პილიევმა — 549. კ. ფოტიევთან (539) ერთად მათ მოაგროვეს 2199 ქულა, მოიგეს გუნდური შეჯიბრება და საქართველოს ახალი რეკორდიც დაამყარეს.

შეჯიბრება გრძელდება.

ა. ბაქრაძე,

საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი ტყვიით სროლაში.

• • •

სურათებზე: ტ. კობოსნიძე (მარცხნივ) და ა. უდაჩინი ასპარეზობის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კიდევ ერთხელ სპორტული ლიტერატურის გამოცემის გამო

ამას მოითხოვს დღევანდელობა

იმასთან დაკავშირებით, რომ დღის წესრიგში დადგა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში გამოსაცემი ლიტერატურის გეგმაზომიერების, ხარისხის, მასში ენის სიწმინდისა და ერთობლივი სპორტული ტერმინოლოგიის დაცვის ამოცანა, რედაქცია დაინტერესდა ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხით. ეს საჭიროება წარმოშვა, კერძოდ, „ლელოს" 9 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილმა წერილმაც „უყურადღებოდ დაწერილი ბროშურები". ამ წერილით სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ქ. ქლენტისა და ნ. ავალიანის „სამკურნალო ტანვარჯიში ბინაზე სიმსუქნის დროს" და „სამკურნალო ტანვარჯიში ბინაზე ჰიპერტონიული დაავადების დროს" მათში დაშვებული უხეში ენობრივი შეცდომების გამო.

გაოცება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" (კერძოდ კი, მხარეთმცოდნეობისა და სპორტული რედაქცია) უკვე წლების მანძილზე გამოსცემს სპორტულ ლიტერატურას, რომელიც პროფესიული ცოდნითაა შესრულებული და ენობრივი თვალსაზრისითაც სათანადო დონეზე დგას. უკვე ტრადიციად დადგინდა „ლელოს" ბიბლიოთეკაც" და ამ რუბრიკით გამოცემული წიგნების შექმნაში კვალიფიციური სპეციალისტები მონაწილეობენ. უკანასკნელ ხანს სპორტულ თემაზე გამოვიდა ბევრი სოლიდური ნაშრომიც და იქაც ზემოაღნიშნული თვალსაზრისით თითქმის ყველაფერი რიგზე იყო. მაშ, რა მოხდა ამ ბროშურების გამოცემისას?

გამოირკვა, რომ „სამკურნალო ტანვარჯიში ბინაზე სიმსუქნის დროს" და „... ჰიპერტონიული დაავადების დროს" მოამზადა „საბჭოთა საქართველოს" სამედიცინო ლიტერატურის რედაქციამ, სადაც, როგორც ჩანს, ფიზკულტურისა და სპორტის, კერძოდ, სპორტული ტერმინოლოგიის დარგში ნაკლები გამოცდილება და ტრადიციებია. მაშასადამე, თავისთავად იბადება დასკვნაც: საჭიროა კოორდინაცია, საჭიროა იმ რედაქციებმა, რომლებიც თავიანთი პროფილით გამოსცემენ სპორტულ ლიტერატურას, ამ მხრივ მუშაობა შეათანხმონ „სპეციალისტთან" — მხარეთმცოდნეობისა და სპორტული ლიტერატურის რედაქციასთან.

ასეთი კოორდინაცია უფრო ფართო მასშტაბითაც არის საჭირო. როგორც ცნობილია, ფიზკულტურულ-სპორტულ ლიტერატურას გამოსცემს „ნაკადულიც" (რომელთანაც ჩვენ ზემოაღნიშნული თვალსაზრისით ჯერჯერობით პრეტენზიები არ გვაქვს), „განათლებაც" და სხვ. რესპუბლიკაში კი ამჟამად მოქმედებს ქართული სპორტული ტერმინოლოგიის კომისია, ცალკეულ სპორტულ სახეობათა ფედერაციები, არის ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტები. ესაა დიდი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც საზოგადოებრივსავე საწყისებზე დაეხმარებოდა გამომცემლობებს ყველა საჭირო შემთხვევაში.

ხაზი უნდა გაესვას მეორე საკითხსაც: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში", კერძოდ, მხარეთმცოდნეობისა და სპორტული ლიტერატურის რედაქციაში მეთოდური და სასწავლო სპორტული ლიტერატურა არ უნდა „ავიწროებდეს", ასე ვთქვათ, მისი პროფილისთვის უფრო მეტად შესაფერის სხვა სახის სპორტულ ლიტერატურას; რა თქმა უნდა, მეტად კარგი და საჭიროა, რომ „საბჭოთა საქართველოც" უხდის ხარკს ამ სასარგებლო საქმეს. მაგრამ იგი ძირითადად უნდა იტვირთოს გამომცემლობა „განათლებამ", რომელიც გაცილებით უფრო ფართო ადგილს უნდა უთმობდეს სასწავლო-მეთოდურ სპორტულ ლიტერატურას. ამას მოითხოვს ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის თანამედროვე დონე, ხოლო ფიზკულტურა და სპორტი კომუნისტური საზოგადოების აშენებისა და მისი ადამიანის აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **მძლეოსნობაში** — ო. მაისურაძეს (თბილისი), ლ. შაგოეს (ბათუმი), შ. ტრანკაშვილს (ცხინვალი); **სათხილამურო სპორტში** — ტ. მიქაბერიძეს (ბაკურიანი).

• • •

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **მძლეოსნობაში** — ა. ანტონოვს (თბილისი, „დინამო"); **ცურვაში** — ნ. ჟიგალოვას (თბილისი, „დინამო"), ე. ანიკინას, რ. კრისანოვს, ვ. დოლინსკის (თბილისი, განათლების განყოფილება); **კრივში** — თ. შალამბერიძეს (ქუთაისი, „შრომითი რეზერვები"), ვ. ტომილოვს (თბილისი, „შრომითი რეზერვები"); **ფარიკაობაში** — დ. მეშველიანს, ი. მაწონაშვილს (ქუთაისი, განათლების განყოფილება); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — ვ. ნორმანს, შ. გრძელიძეს, მ. ოსმანოვს, ვ. კოკოევს (ყველანი — თბილისი, „დინამო"); **ხასტენდო სროლაში** — პ. რადჩენკოს, ა. პოპოვს (ორივენი — ბათუმი, „განთიადი"); **მაგიდის ჩოგბურთში** — ლ. ავდალიანს (ბათუმი, „ბურევესტნიკი"), გ. პევზნერს, ვ. ვასილიევას, ო. კაპლანიანს (ყველანი — ბათუმი, განათლების განყოფილება); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ა. მირზოიანს (თბილისი, „დინამო"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ლ. კინწურაშვილს, ი. კრიხელს (ორივენი — თბილისი, „დინამო"), შ. პაპაშვილს (თბილისი, „სპარტაკი"); **სამბოში** — ა. მარგველანს (თბილისი, „ბურევესტნიკი").

ყოველ იარაღში — პრიზიორი!

საკავშირო თასი

ფარიკაობა

ორჯონიკიძე, 12 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოფარიკავეთა საკავშირო თასის გათამაშების მესამე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ რაპირისტი ქალები. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას აქ იცავდა სპორტის ოსტატი მაყვალა კოხრეიძე. ფინალისკენ მისი მსვლელობა მეტად ძნელი იყო, ვინაიდან ამ გზაზე იარაღით ალჭურვილნი იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. შიშოვა, მეტად ძლიერი მოფარიკავე ა. ზაბელინა, მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შორის კ. მირზოევა... და მაინც, ქართველი ოსტატის რაპირა უფრო მარჯვე აღმოჩნდა; მან ბრძოლით გაიკაფა გზა თასის მფლობელის სიმაგრისაკენ (შიშოვა დაამარცხა ორჯერ — 2:0, 2:0, სძლია ზაბელინასაც — 2:0 და მირზოევასაც — 2:1) და მის მისადგომებთან გადამწყვეტი შერკინება გამართა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. რასტვოროვასთან. ყოველი სათასო ორთაბრძოლა 8 „რაუნდისაგან" შედგება. პირველად ჩვენმა სპორტსმენმა იოლად დაამარცხა (4:0) მრისხანე მეტოქე, მაგრამ შემდეგ ორჯერ წააგო (2:4, 1:4) და II ადგილს დასჯერდა. მ. კოხრეიძის ეს შედეგიც მეტად დიდი, საამაყო გამარჯვებაა და ისიც ტურნირის სენსაციათა კატეგორიას მიეკუთვნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საუკეთესო მოფარიკავე ქალის მწვრთნელია შ. დარასელია.

ესპადრონისტთა ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკიდან იბრძოდნენ მ. სახვაძე და ა. გოგელია. სახვაძემ დაჯერებით გაიკვლია გზა ნახევარფინალამდე, მაგრამ აქ მარცხი განიცადა სსრ კავშირის ნაკრების წევრთან ე. ვინოკუროვთან—1:2. მას მხოლოდ III ადგილის შანსებიღა შერჩა. საპრიზო ადგილისთვის ვ. ხაბალუპთან ბრძოლაში სახვაძემ კვლავ იმარჯვა (2:1) და დამკვიდრდა კიდეც უძლიერესთა სამეულში. I ადგილი აქ წილად ხვდა ე. ვინოკუროვს, II—ვ. ნაზლიმოვს. ა. გოგელია VI ადგილზეა. ორივე ჩვენი ესპადრონისტის მწვრთნელია ტ. მეხსი.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

სსრ კავშირის ჩემპიონატები

ჭადრაკი

ფინიში ახლოსაა...

ბელცი, 12 დეკემბერი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა XXV საჭადრაკო ჩემპიონატის XVI ტურში მწვავედ მიმდინარეობდა ბორისენკო — ზატულოვსკაიას პარტია. თეთრების ლაზიერის პაიკის სვლაზე შავებმა ჩიგორინის დაცვა აირჩიეს. თეთრებმა დააყოვნეს, და ზატულოვსკაიამ თავისი მხედარი ცენტრში გაამაგრა, ხოლო შემდგომ აქტიური თამაშით ორი ეტლი მეტოქის განლაგებაში „დააბანაკა". ეს თამაში ამ დღეს არ დამთავრებულა, მაგრამ მისი განახლების შემდეგ ზატულოვსკაიამ გამარჯვებამდე მიიყვანა იგი.

კაკაბაძე — იდელჩიკის შეხვედრაში თეთრებმა ცენტრალური პაიკი შესწირეს მეტოქეს და სამაგიეროდ ორი ძლიერი კუ მიიღეს. ცაიტნოტში კაკაბაძე უზუსტოდ თამაშობდა და პარტია უპაიკოდ გადასდო. დედაშვილ ო. და ე. რუბცოვების პარტიაში გაიმარჯვა შვილმა — ელენემ, ივანოვა — ბელავენეცს, მიხაილოვა — რანიკუს, პოპრუჟაილო — კოლოტისა და სკეგინა — კოზლოვსკაიას პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. კაკაბაძემ ზუსტად ითამაშა მუსლიმოვას წინააღმდეგ და გაიმარჯვა, იდელჩიკთან პარტია კი კვლავ საყაიმო პოზიციაში გადასდო.

ორი გამარჯვება იზეიმა ივანოვამ: მან დაამარცხა მუსლიმოვა და იდელჩიკი.

ზატულოვსკაიამ მოუგო პოპრუჟაილოს, გოლოვკიმ — იდელჩიკს, რანიკუმ — ო. რუბცოვას, კონოპლიოვამ — არჩაკოვას. ყაიმით დამთავრდა კოლოტი — კონოპლიოვას, არჩაკოვა — ე. რუბცოვასა და მუსლიმოვა — ზვორიკინას შეხვედრები.

16 ტურის შემდეგ ლიდერობს კოზლოვსკაია — 11,5 ქულა. 11 ქულით II ადგილზეა ე. რუბცოვა. 10-10 ქულა მოაგროვეს სკეგინამ, ზატულოვსკაიამ და რანიკუმ.

კაკაბაძეს აქვს 8,5 ქულა, ხოლო ივანოვას — 7,5.

გ. ფამილიანტი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

● ●

ე. კაკაბაძე — ვ. კოზლოვსკაია

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 კb4 4. e5 მe7 5. კd2 b6

შავებს განზრახული აქვთ თეთრუჯრედოვან კუთა გაცვლა.

6. მf3 კa6 7. მb5 კ:d2+ 8. ლ:d2 0—0 9. კd3 c5.

ყურადღებას იმსახურებს 9. ... მc8 შემდგომი 10. ... c6.

10. a4 cd 11. მg5!?

ეს სვლა დამახასიათებელია კაკაბაძისთვის. 11. მ:d4 მbc6 12. f4 მ:d4 13. მ:d4 კ:d3 14. cd! თეთრებს შეეძლოთ უპირატესობის მიღება. მაგრამ ელისო ამჯობინებს რთულ და გაურკვეველ თამაშს.

11. ... h6 12. მh7



მხედრის ნახტომი ზუსტ გაანგარიშებას მოითხოვდა. ახლა 12. ... ეe8-ს შეიძლებოდა მოჰყოლოდა 13. მf6+ gf 14. ლ:h6 მუქარებით კh7+ ან ef. თუ შავები უპასუხებენ 14. ... მf5, მაშინ 15. კ:f5 ef 16. ეa3 ე:e5 + 17. მფd1 f4 18. ეh3 მოგებით.

12. ... კ:b5 14. ab ლc7?

ყურადღებას იმსახურებდა 13. ... ეe8 14. მf6+ gf 15. ლ:h6 h5 16. h4 მd7, რათა 17. f4-ზე ითამაშოს 17. ... მf8 18. ეh3 მh7 19. ეg3+ მg6 20. h5 ლh4 და ა. შ. ახლა შავებს არა აქვთ კომპენსაცია ხარისხში.

14. მ:f8 ლ:e5+ 15. კe2

უფრო ძლიერი იყო 15. ლe2 ლ:e2+ 16. მფ:e2.

15. ... მფ:f8 16. ეa4 მf5 17. g4

მარტივი იყო 17. 0—0 შემდგომი ეfa1.

17. ... მh4 18. 0—0 ლe4 19. f3 ლe3+ 20. ლ:e3 de 21. ეfa1 მd7 22. ე:a7 ე:a7 23. ე:a7 მფe7 24. მფf1 მg6 25. ეa3 მf4

25. ... d4-ის შემთხვევაში თეთრები მაინც იგებდნენ პაიკს 26. c3 e5 27. cd ed 28. ეd3 შემდგომი ე:d4.

26. ე:e3 მფd6 27. ეc3 მe6 28. ეc8 h5 29. gh მ:h5 30. მფf2 d4 31. კf1 g6 32. b4?

გულდასაწყვეტი შეცდომა ცაიტნოტში, რომლის შემდეგ ყაიმი გარდუვალია. მოგების შანსებს იძლეოდა 32. c3.

32. ... მf6 33. ეb8 მფc7 34. ეf8 მd5 35. მფg3 g5 36. ეg8 f6 37. ეg7+ მფd6 38. ეb7 მd7 39. კd3 მ:b4 40. მფf2 მd5 41. კe4 მb4 42. მფe2. ყაიმი.

ი. ჩიქოვანი,
ოსტატობის კანდიდატი.

ბელცი.

• • •

სურათზე: ოსტატ ე. კაკაბაძის (მარცხნივ) შეხვედრა ჩემპიონატის ლიდერთან — საერთაშორისო ოსტატ ვ. კოზლოვსკაიასთან (პიატიგორსკი).

ფოტო კ. კუზმინისა.

ახალი ამბები

● **ტალინი, 12 დეკემბერი.** მოჭადრაკე ვაჟთა XXXIII საკავშირო ჩემპიონატზე გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ხასინი გაუთამაშებლად დანებდა პოლუგაევსკის, ხოლო სახაროვი — კორჩნოის. ვასიუკოვმა წააგო სიმაგინთან და მოუგო ხასინს. ყაიმით დამთავრდა ოსნოს — სუეტინის, კერეს — ბუხმანის, მიკენას — ლეპიოშკინის, კუზმინ — ტაიმანოვისა და ბუხმან — პოლუგაევსკის შეხვედრები.

სპეციალისტები კარგ მერმისს უწინასწარმეტყველებენ ახალგაზრდა სპარტაკელ ანზორ ნეკერიშვილს. მართლაც, ეს ნიჭიერი ჭაბუკი დიდი ხანი როდია, რაც ველოსპორტში ვარჯიშობს და უკვე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. ანზორმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისის ველოსტადიონზე ამას წინათ გამართულ მატჩში სიმფეროპოლელ ჭაბუკებთან. ჯგუფურ რბოლაში მან წარმატებით განვლო ყველა საშუალედო ფინიში და პირველობა დაისაკუთრა. რეგულარული ვარჯიშით ნეკერიშვილი კიდევ უფრო სრულყოფს ტექნიკას და განზრახული აქვს დაიმსახუროს სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის საგზური.

• • •

სურათზე: ა. ნეკერიშვილი.
ფოტო ვ. სტოლიაროვისა.

სტატისტიკა...

ფეხბურთი

ისტორიას ჩაბარდა სსრ კავშირის XXVII საფეხბურთო ჩემპიონატი. მცირე ხნის „ზამთრის ძილის" შემდეგ გუნდები შეუდგებიან მზადებას მორიგი, XXVIII ასპარეზობისთვის. მომავლისათვის ზრუნვა მივანდოთ გუნდების ხელმძღვანელებს, ხოლო ჩვენ ერთხელ კიდევ გადავხედოთ განვლილ პირველობას, რომელმაც „სამემკვიდრეოდ" დაგვიტოვა მრავალი საინტერესო ფაქტი, ციფრი, დეტალი...

1965 წლის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სია მრავალჯერ იყო გამოქვეყნებული სხვადასხვა ვარიანტში. ჩვენ დავუმატებთ კიდევ ერთ დეტალს: სეზონის მანძილზე მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა შეძლო ერთ მატჩში 3 ბურთის გატანა. ესენია: ვ. ფედოტოვი (ცსკა), ლ. გორშკოვი („ლოკომოტივი"), ე. მალაფეევი („დინამო", მინსკი).

თუ როსტოვის არმიელთა გუნდის ფორვარდი ო. კოპაევი აბსოლუტური ლიდერია სეზონის ბომბარდირთა შორის, საუკეთესო თავდამსხმელთა საშუალო შედეგიანობა სხვა სურათს გვაძლევს.

ყოველ მატჩში საშუალო შედეგიანობის მიხედვით I ადგილზეა ე. მალაფეევი — 0,65 გოლი ყოველ მატჩში. მომდევნო ადგილებზე არიან ო. კოპაევი — 0,56, ლ. გორშკოვი და ბ. კაზაკოვი (ცსკა) — 0,50 თვითეულს.

შეიძლება ბომბარდირთა მიღწევებს შევხედოთ კიდევ ერთის მხრივ, კერძოდ, თუ ვინ რა წვლილი შეიტანა თავისი კოლექტივის საერთო წარმატებაში. აქაც I ადგილზეა მალაფეევი, რომელსაც მინსკის „დინამოს" მიერ გატანილი ბურთების 47 პროცენტი ეკუთვნის. II ადგილზეა ი სეკეჩი, რომელმაც გაიტანა ოდესის არმიელთა გუნდის გოლების 45 პროცენტი.

სეზონის მანძილზე სულ დაინიშნა 40 პენალტი. აქედან მასპინძლებს ერგოთ 27, ხოლო სტუმრებს — 13. რეალიზებულ იქნა 26 პენალტი, 10 მოიგერიეს მეკარეებმა, 3 აცდა კარს, ხოლო 1 ძელს მოხვდა.

პირველ ტაიმებში დანიშნულ იქნა 8 პენალტი, მეორეში — 32. ეს გასაგებიცაა: „ვნებათა ღელვანი" კულმინაციას აღწევს თამაშის დასასრულს.

აი, კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ პენალტისტის ფსიქოლოგიური წონასწორობა სრულ წესრიგზე უნდა იყოს დარტყმის შესრულების მომენტში: 40 პენალტიდან მოცემულ მომენტში მომგები გუნდის სასარგებლოდ დაინიშნა 11, წაგებულის სასარგებლოდ — 13, როცა ანგარიში იყო ფრე — 16. შესაბამისად რეალიზებულ იქნა 10, 7 და 9 პენალტი. ე. ი. თუ ანგარიში მოსაგებია და მოთამაშეც დამშვიდებული გახლავთ, გატანილია პენალტების 90 პროცენტი. თუ ანგარიშია ფრე და მოთამაშე ღელავს — გატანილია 56 პროცენტი, მაგრამ წაგების მომენტში ნერვული დაძაბულობა მაქსიმუმს აღწევს და გატანილი ბურთების პროცენტიც იკლებს — 53.

უკანასკნელი 7 წლის მანძილზე 3 შემთხვევა იყო, როცა მეკარემ შეძლო ერთ თამაშში 2 პენალტის მოგერიება.

1959 წელს ს. კოტრიკაძემ კიევის დინამოელებთან შეხვედრაში აილო 2 პენალტი. 1960 წელს ეს შეძლო „კაირატის" მეკარე ვ. ლისიცინმა. შემდგომი 4 წლის მანძილზე ასეთ შემთხვევას ადგილი არა ჰქონია და მხოლოდ განვლილ სეზონში აილო ოდესის „ჩერნომორეცის" მეკარემ კ. ურალეცმა ორი 11-მეტრიანი დარტყმა.

27-ე ჩემპიონატში სულ გატანილია 617 ბურთი. ამ გოლების გაანალიზება შეიძლება სულ სხვადასხვა მხრივ 372 გოლი გაიტანეს მასპინძლებმა, ხოლო სტუმრებმა — 245, ე. ი. მასპინძლები წინ არიან 127 ბურთით. მარშანდელთან შედარებით შეიძლება ითქვას, რომ „საკუთარი მინდვრის" ფაქტორი ოდნავ შემცირდა.

272 ბურთი იქნა გატანილი I ტაიმებში, 345 — მეორეში. აი, უკვე ბოლო 12 წელია, რაც მეორე ტაიმები უფრო შედეგიანია, ვიდრე პირველი. უკანასკნელად 1953 წელს „გაიმარჯვეს" პირველმა ტაიმებმა. ეს მოწმობს, რომ მატჩის ინტენსიურობა დასასრულისთვის ძლიერდება.

617 გოლიდან 552 გაიტანეს თავდამსხმელებმა, 60 — დაცვითი ხაზების მოთამაშეებმა, 5 ბურთი გატანილია საკუთარ კარში. საკუთარ კარში გატანილი ბურთების რეკორდი კვლავინდებურად უჭირავთ კიევის დინამოელებს — 26.

38 ბურთი გატანილ იქნა ბოლო 5 წუთში. ამასთან, სწორედ ამ ბოლო 5 წუთში შეძლეს გუნდებმა „სუფთა" 15 ქულის აღება გადამწყვეტი ბურთის გატანით ან ფრეს მიღწევით. მოსკოვის „ტორპედომ" ბოლო სამ წუთებში თავის ბალანსს მიუმატა 2 ქულა. ზუსტად ასეთივე მაჩვენებელი აქვს კიევის „დინამოს".

ყველაზე ბედნიერ მოთამაშედ შეიძლება ჩაითვალოს მოსკოვის ტორპედოელი ა. ლენიოვი. მან სულ ხუთჯერ მიიღო მონაწილეობა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ სწორედ მას მოუწია იმ გოლის გატანა, რომელმაც ტორპედოელებს მოუტანა ოქროს მედლები. ყველაზე „იღბლიანი" მეკარეა როსტოველი ა. ბოიჩენკო, — ერთადერთი 42 კოლეგას შორის, რომელსაც არც ერთხელ არ გაუშვია ბურთი. თუმცა ბევრიც არ უთამაშია: ბოიჩენკომ სულ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

სეზონის ყველაზე „უიღბლო" ფეხბურთელია ოდესის არმიელთა გუნდის წევრი ვ. ფილკინი. მან ითამაშა 11 მატჩში და 10-ჯერ მისი გუნდი დამარცხდა. ერთხელ მატჩი დამთავრდა ფრედ ესეც არაფერი. ფილკინმა სამჯერ „ჩაჭრა" ბურთი საკუთარ კარში და მხოლოდ ახალმა წესმა, რომლის თანახმადაც მსაჯმა ოქმში ასეთ შემთხვევაში გოლი უნდა ჩაუთვალოს მოწინააღმდეგე გუნდის თავდამსხმელს, რომელმაც უკანასკნელად დაარტყა, გადაარჩინა ფილკინი სეზონის „ოფიციალურ" რეკორდს.

მეკარეთა შორის ყველაზე უიღბლო იყო „ჩერნომორეცის" კარის დარაჯი ო. იუდინი, რომელმაც ერთ მატჩში გაუშვა 5 ბურთი და მას შემდეგ იგი კარში არ დაუყენებიათ. კიდევ მეტიც: „ჩერნომორეცის" კარში სულ დაარტყეს 6 პენალტი. აქედან გატანილი იქნა მხოლოდ 1 და ისიც მაშინ, როცა თამაშობდა იუდინი. მისმა კოლეგებმა მოიგერიეს 4 პენალტი და 1 დარტყმა აცდა კარს.

ა. ესენინი.

მოსკოვი.

სტატისტიკა...

გაგრძელება იქნება...



როცა ლ. სავინკოვა მოუხერხებელი მოძრაობის შემდეგ ოდნავ შეეხო ვარდისფერწინწკლებიან გამჭვირვალე ბურთს და იგი ფიცარნაგზე დაგორდა, მომეჩვენა, რომ „მთელი მსოფლიოს ოქრო", რომლის მოპოვებას ჩვენი ტანმოვარჯიშეები უსაფუძვლოდ როდი ცდილობდნენ, ბურთთან ერთად ჩვენგან მიგორავს...

მსაჯებმა ითათბირეს, იკამათეს, მაგრამ განაჩენი უკვე ყველასთვის ნათელი იყო. 8.5 ქულამ სავინკოვას კვარცხლბეკისკენ მიმავალი ყველა გზა მოუჭრა, ხოლო ტ. კრავჩენკოსა და ლ. ნაზმუტდინოვას დიდი შრომა (ისინი მართლაც გმირულად იბრძოდნენ ამ რთულ ვითარებაში) ველარ უშველიდა საქმეს. 19 წლის ჩეხი ქალიშვილი ჰ. მიჩეხოვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

— გამარჯვების იმედი მქონდა, მაგრამ მას არ ველოდი, — მითხრა ჰანამ. — შეიძლება ამიტომ კიდევ არ მჯერა, რომ ყველაფერი ეს მართალია. როგორც კი დავინახე, რომ ლიუდმილას ბურთი დაუგორდა, თავში წავივლე ხელი და თვალები დავხუჭე. სინანულით კინაღამ ავტირდი. მხოლოდ შემდეგ მივხვდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ვარ.

ახალშობილი ჩემპიონი მეორე დღეს სახტუნელათი გამოვიდა საჩვენებელ პროგრამაში. თითქმის შეუმჩნეველი შეცდომა და — სახტუნელა ფეხებში გაიხლართა. ჰანამ გაიღიმა და მოძრაობა გაიმეორა. ფიცარნაგიდან იგი ტაშმა გააცილა. ეს ამბავი ერთი დღით ადრე, შეჯიბრებაზე რომ მომხდარიყო? დიახ, სპორტი — სპორტია. იგი მოითხოვს რომ ოსტატობა ბედის ღიმილით იყოს განათებული.

მხატვრულ ტანვარჯიშში II მსოფლიო ჩემპიონატის ეპილოგში ეს აზრი მრავალი დიალოგის დამაკავშირებელი ძაფი იყო.

შეჯიბრება დამთავრდა, ჩემპიონის ვინაობა გარკვეულია, აზარტმა სალ გონებას დაუთმო ადგილი, ღიმილი და ცრემლები, ასე ვთქვათ, ისტორიას ჩაბარდა. ახლა შეიძლება უკან მოხედვა და მომავალზე ფიქრი. ამის გაკეთება სპეციალისტებს ვთხოვე: ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარეს ბერტა ვილანშესა და სსრ კავშირის მხატვრული ტანვარჯიშის პასუხისმგებელ მდივანს ვალენტინა ბატაენს.

ბერტა ვილანშე: — პრაღის შეჯიბრებებმა ჩემში ოპტიმიზმი ჩასახა: მხატვრული ტანვარჯიში პროგრესის გზას ადგას და უფრო სრულყოფილი ხდება. ბუდაპეშტის ჩემპიონატის შემდგომ ორ წელიწადს ფუჭად არ ჩაუვლია. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩემპიონი ამჯერად გახდა სრულიად ნორჩი ტანმოვარჯიშე, რომელიც წინა შეჯიბრებისას სულ არ იყო ცნობილი. მისი გამარჯვება დამსახურებულია, ისევე როგორც ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა გუნდების წარმატება. მათ დაამტკიცეს, რომ ტყუილად როდი ითვლებიან ფავორიტებად, ვინაიდან სხვა ქვეყნების სპორტსმენებს ბევრი აქვთ სასწავლი მათგან: მოძრაობის პლასტიკურობა, ჟესტების სილამაზე და გამომსახველობა, ჰარმონიულობა.

მეტისმეტად მომწონს საბჭოთა სპორტსმენების ვარჯიში. განსაკუთრებით ლამაზია ნაერთები მათ კომბინაციებში, რომელთა შესრულება გემოვნებითაა აღსავსე. ამას გარდა, აქ კარგადაა გათვალისწინებული ყოველი ტანმოვარჯიშის ინდივიდუალური შესაძლებლობანი. განსაკუთრებით მომეწონა კრავჩენკო უსაგნო პროგრამაში, ნაზმუტდინოვა — ბურთით ვარჯიშში. რაც შეეხება სავინკოვას, იგი მხოლოდ შემთხვევით ვერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. სავინკოვა ექსტრაკლასის ტანმოვარჯიშეა, რომელსაც არა აქვს სუსტი ადგილები.

სადღეისოდ მხატვრული ტანვარჯიში უმთავრესად სოციალისტურ ქვეყნებშია გავრცელებული. მაგრამ სპორტის ეს მშვენიერი სახეობა ნელ-ნელა დასავლეთშიც იკიდებს ფეხს. ისეთი მაღალი ოსტატობით დამშვენებული ასპარეზობა, როგორიც პრაღაში იყო, ხელს შეუწყობს მხატვრული ტანვარჯიშის პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში.

ახლა, როცა სამსაჯო მაგიდას აღარ ვუზივარ, მსურს გაგიმხილოთ საკუთარი სიმპათიები. კრავჩენკო, სავინკოვა, მიჩეხოვა, პოლონელი ფლორკოვსკა, ბულგარელი სტეფანოვა... ყველა მათგანი როდი გახდა ჩემპიონატის ლაურეატი, მაგრამ თვითეულმა მათგანმა თავიანთი გამოსვლებით დიდი სიხარული მოგვანიჭა.

პრაღის ჩემპიონატის მინუსია მსაჯობა. იგი ჯერ კიდევ გამოუცდელი და მეტისმეტად სუბიექტურია. ეს პრობლემა უახლოეს დროში უნდა გადაწყდეს და ვიმედოვნებ, რომ შევძლებთ ამას. ამ მხრივ პირველი ნაბიჯია მხატვრული ტანვარჯიშის სიმპოზიუმი, რომელიც პრაღაში გაიხსნა ჩემპიონატის კვალდაკვალ.

ვალენტინა ბატაენი: — ამრიგად, ჩემპიონატი დამთავრდა. ცხადია, ჩვენი მარცხი დასანანია. მაგრამ მოდით ჩხუბის მერე მუშტებს ნულარ გავიქნევთ.

ჩემპიონატმა გაგვახარა აზარტული მეტოქეობით, რასაც მანამდე ვერ ვხედავდით. ჩეხოსლოვაკიის ტანმოვარჯიშეები საუკეთესოდ მოემზადნენ. თუმცა ჩვენ ბევრს ველოდით მათგან, მაინც არ გვეგონა, რომ მათი ოსტატობა ამდენად მაღალია. მაგრამ, ჩემი აზრით, საბჭოთა მხატვრული ტანვარჯიში ჯერ კიდევ მოწინავეა და მსოფლიოს სარბიელზე ტონის მიმცემი გახლავთ. მეტოქეებს — ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთის, გდრ-ის ტანმოვარჯიშეებს კარგი გემოვნებით შესრულებული, დახვეწილი ვარჯიშები ჰქონდათ, მაგრამ მათი კომბინაციები ჩვენთვის სიახლეს არ წარმოადგენდა. ყველაფერი, რასაც კი ჩვენი მეტოქეები აკეთებდნენ ფიცარნაგზე, ნაცნობია.

ჩვენი ტანმოვარჯიშეების გამოსვლებს ხშირად ბალეტს ადარებენ. მახსოვს, ერთხელ ტალინში შეჯიბრების მერე ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა მითხრა, რომ არაფერი ექნება საწინააღმდეგო ჰყავდეს ისეთი მოცეკვავე, როგორიც სავინკოვაა. პრაღაშიც გაისმოდა ამგვარი გამონათქვამები. და ეს მაშინ, როცა არც სავინკოვას, არც კრავჩენკოსა და არც ნაზმუტდინოვას არასდროს უვლიათ ბალეტზე.

მწვრთნელის ევეტა ჩერნის მოსწავლეები ჰ. მახატოვა-ბოგუშოვსკა (ჩემპიონატის „ბრინჯაოს" პრიზიორი) და ი. ბეროვა (IV ადგილი), პირიქით, დაკავშირებული არიან თეატრთან — ორივე ბალეტში ცეკვავდა. მაგრამ ფიცარნაგზე მათი მუშაობა ბალეტთან არავის შეუდარებია. ასეა თუ ისე, პრაღაში ნათელი გახდა, რომ მხატვრულ ტანვარჯიშში მიმართულება კი არ არის იმდენად მთავარი, რამდენადაც ოსტატობის დონე.

შინ 4 მედალი ჩამოვიტანეთ: ოქროსი კრავჩენკომ დაისაკუთრა უსაგნოდ გამოსვლაში, მასვე ეკუთვნის ვერცხლის 2 მედალი, ხოლო „ბრინჯაო" ნაზმუტდინოვამ მოიხვეჭა საგნით ვარჯიშში. „ტვირთი" მეტად სოლიდურია, მაგრამ, შემთხვევითობა რომ არა, იგი შეიძლება ორჯერ მძიმე ყოფილიყო.

შეცდომებზე სწავლობენ. კარგად გვახსოვს ეს ბრძნული გამოთქმა. ასე რომ, გაგრძელება იქნება...

ა. მარიამოვი.

• • •

სურათებზე: ზევით — ლ. სავინკოვა უსაგნოდ ვარჯიშისას; ქვევით — ლ. ნაზმუტდინოვა ბურთით...

ფოტო ვ. ტუტოვისა და საკდესისა.

ფეხბურთი

ინგლისი

შაბათს გამართული XXI ტური თავისებური რეკორდით აღინიშნა: 11 შეხვედრაში გატანილია 56 გოლი! ლიდერმა — „ლივერპულმა" მოუგო „არსენალს" — 4:2. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ტომპსონმა, სენტ-ჯონმა, სტრონგმა და ჰანტმა.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ასტონ ვილა" — „ევერტონი" 3:2, „ბლეკბერნ როვერზი" — „ნორთჰემპტონი" 6:1, „ბლეკპული" — „სტოკ-სიტი" 1:1, „ფულჰემი" — „ბერნლი" 2:5, „ლიდს იუნაიტედი" — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" 4:0, „ლეისტერ-სიტი" — „შეფილდ უენსდეი" 4:1, „შეფილდ იუნაიტედი" — „ნოტინჰემ ფორესტი" 1:1, „სანდერლენდი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" 2:3, „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „ჩელსი" 4:2, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „ნიუკასლ იუნაიტედი" 4:3.

20 გატანილი გოლით სნაიპერთა სიას ლიდერობს ირვინი („ბლეკპული"); ჰანტს („ლივერპული") 19 გოლი აქვს გატანილი, ხოლო ჰარსტს („ვესტ ჰემ იუნაიტედი") — 18.

21 ტურის შემდეგ 31 ქულით I ადგილზეა „ლივერპული". „ბერნლი" 28 ქულით მეორეზეა. „ლიდს იუნაიტედს", „ტოტენჰემ ჰოტსპურს" და „შეფილდ იუნაიტედს" 25-25 ქულა აქვთ.

შოტლანდია

შაბათს, ჩემპიონატის XIV ტურში, მორიგი გამარჯვება იზეიმა „გლაზგო რეინჯერსმა", რომელმაც დაამარცხა „მორტონი" — 3:1. „კილმარნოკმა" წააგო „ფოლკერკთან" — 2:3.

26 ქულით ლიდერობს „გლაზგო რეინჯერსი". „სელტიკი" (გლაზგო) 23 ქულით II ადგილზეა.

საფრანგეთი

ჩემპიონატის XVIII ტურში „ნანტმა" მოუგო გასვლითი მატჩი „მონაკოს" — 3:1. გოლების ავტორები არიან გონდე (2) და მანი.

„სენტ-ეტიენმა" დაამარცხა „რედ სტარი" — 5:1.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგებია: „ნიმი" — „რუანი" 2:1, „სტრასბურგი" — „ბორდო" 3:0, „სედანი" — „ვალანსიენი" — 4:0, „სოშო" — „ლილი" 1:0, „ლიონი" — „სტად ფრანსე" 2:0, „ტულუზა" — „ლანი" 4:1.

სნაიპერთა სიას ლიდერობს გონდე („ნანტი") — 18 გოლი, ერბენს („სენტ-ეტიენი") 16 გოლი აქვს გატანილი.

პირველი ხუთეული ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„ნანტი"	18	45:21	29
„ვალანსიენი"	18	27:26	24
„ბორდო"	18	35:18	22
„მონაკო"	18	30:20	22
„სენტ-ეტიენი"	18	48:38	21

7-7 გოლი — ნაკრების მეკარეებს

საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელს ა. გერენს განსაკუთრებით მოსწონს 3 მეკარე: ობური „ლიონიდან", რომელიც ძირითად მეკარედ ითვლება, სამოი „ლილიდან" და დანტენეი პარიზის „რედ სტარიდან". სამივე მეკარე მაღალი ტანისაა და, სპეციალისტთა აზრით, საუცხოო ფორმაშია, მაგრამ...

ამას წინათ საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ტურში „ლიონმა" წააგო „სოშოსთან" — 2:7. ეს 7 გოლი გაუშვა ინგლისში გამგზავრების მთავარმა პრეტენდენტმა ობურმა. მაგრამ გამოირკვა, რომ მას არც მეტოქეები „ჩამორჩნენ". „ლილმა", რომლის კარსაც იცავდა სამოი, წააგო „სენტ-ეტიენთან" — 4:7, ხოლო დანტენეიმ ამდენივე გოლი მიიღო „ნანტთან" შეხვედრაში.

ქვეყნები ჩემპიონატები ლიდერები

ბელგია

XI ტურში მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს ლიდერებმა: „სენტრონმა" მოუგო „რესინგ ვაიტს" — 2:0, „ანდერლეხტმა" — „ანტვერპენს" — 5:0.

ლიდერთა სამეულის მდგომარეობა ასეთია:

	თ.	ბ.	ქ.
„სენ-ტრონი"	11	23:7	21
„ანდერლეხტი"	11	27:8	19
„ბეერშოტი"	11	15:8	17

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჭადრაკი. ტრანსპორტის სამმართველოს სპორტდარბაზი (ტელმანის ქ. № 8). 14-24 დეკემბერი. საქართველოს პირველობა. დასაწყისი 16 ს.

ტყვიით სროლა. ავჭალის სასროლეთი. 14-16 დეკემბერი, ამხანაგური შეჯიბრება. საქართველო — უკრაინა. დასაწყისი 10 ს.

15 დეკემბერს

თბილისის სპორტკავშირის საბჭოს შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 6) გაიმართება ფეხბურთის საქალაქო ფედერაციის აქტივის სხდომა.

დღის წესრიგი: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის ანგარიშგება-არჩევნები, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის ანგარიშგება-არჩევნები.

დასაწყისი 18 საათზე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო—8-95-30, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.

▲ **ვარშავა.** ცნობილი პოლონელი ძალოსანი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ი. პალინსკი (ქვემძიმე წონა) დაშავებით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გამოვა ფიცარნაგზე. ათლეტის პირველი შეჯიბრება იქნება პოლონეთის გუნდური ჩემპიონატი. პალინსკი აგრეთვე აპირებს გამოსვლას ტრადიციულ ტურნირში მოსკოვის პრიზზე. პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო იუწყება, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კარგ ფორმაშია.

▲ **სტოკჰოლმი.** აქ დამთავრდა ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ შვეციის, ინგლისის, იუგოსლავიის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი სპორტსმენები. ფინალში გავიდნენ ჩინელები ლი ხო-ნანი და ხუ იუ-ლანი. გაიმარჯვა პირველმა — 21:13, 21:10, 18:21, 21:12.

▲ **მელბურნი.** ჩოგბურთში აქ გამართული საერთაშორისო ტურნირის ვაჟთა ერთეულების შეხვედრები სენსაციური შედეგით დამთავრდა: ამერიკელმა გრებნერმა ფინალში სძლია საქვეყნოდ აღიარებულ ავსტრალიელ ემერსონს—8:6, 7:5, 2:6, 1:6, 6:1. ქალთა ერთეულების ფინალში ავსტრალიელმა სმითმა დაამარცხა ამერიკელი რიჩი — 5:7, 6:3, 6:2.

ИНДЕКС 66418

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 12383